საბირჟო სტრუქტურის აუცილებლობა ამიერკავკასიის სინამდვილეში

ზ. ვაშაკიძე
სტუ-ს პროფესორი
მ. კელენჯერიძე
სტუ-ს პროფესორი

ბირჟა წარმოადგენს საბაზრო - სავაჭრო მოედანს იგი არის ეკონომიკის წამყვანი სტრატეგიული და სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოწოდებულია არეგულიროს სასაქონლო - ფულადი ურთიერთობანი პარტნიორებს შორის, ფუნქციონირებად და ლოგიკურ საფუძველზე. ამით, იგი მეტად მნიშვნელოვან - სავალდებულო საქმიანობრივ მოღვაწეობის სფეროს წარმოადგენს, საზოგადოებისათვის.

ბირჟის ფუნქციონალურ მოღვაწეობას, მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამიერკავკასიის სინამდვილეში, ვინაიდან - ამიერკავკასიის სამ ქვეყანაში ყოველი მათგანი ფლობსა და განაგებს ისეთ მისთვის დამახასიათებელ : ბუნებრივ რესურსებს, შესაბამის ნაციონალურ სახეთა პროდუქციას, ნაკეთობებს, სუვენირებს, და სასაქონლო ჯგუფთა ისეთ ორიგინალურ სახეებს, რაც ქვეყნაშია განთავსებული. იგი წარმოადგენს ეკონომიკურად დასაბუთებულ ბიზნეს საქმიანობას შესაბამის გარემოცვში, სათანადო დროსა და სათანადო ადგილას, მოითხოვს ისეთ მრავალფაქტორულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, როგორიცაა :

- ქვეყნის რეგიონალური მარკეტინგის ღრმა ანალიტიკურ შესწავლა - დამუშავებას
- მარკეტინგული ანალიზის მეშვეობით მიღებულ, სათანადო რეკომენდაციებზე აგებული - ბიზნეს მოღვაწეობის სტრატეგიულ მიმართულებათა მიმდინარეობის ხელშეწყობითი განვითარება
- ბიზნეს მოღვაწეობა, განიხილება მრავალ ქვეფაქტორთა საფუძველზე, რომელთა მცირედი გაუთვალისწინებლობასაც კი შესაძლოა მოჰყვეს მრავალი ჯაჭვური რეაქციის მსგავსი - სარისკო კომპონენტების არსებობა საგარეო ვაჭრობის პროცედურებში.
- პროდუქციის ფასი, მთლიანი მიწოდების ჯამური ხარჯების გათვალისწინებით ითხოვს რეალურსა და ფიუჩერსულ ფასებს შორის კორელაციურ არსებობას, ანუ რეალურად გასაყიდი ფასი უნდა შეადგენდეს საბაზო ფასის გარკვეული % - ით ნაკლებ ერთეულს, რაც განაპირობებს მასზე - სოციალურ სამომხმარებლო პოტენციალურ მოთხოვნილებას.
- უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ბიზნესის სრულ ციკლში, წარმოადგენს - საფასო რისკების თავდაცვით მექანიზმთა არსებობას და მათი ეფექტურ ქმედებას მენეჯმენტის ციკლის ყოველ ეტაპზე.
- ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორთა ჯგუფს, საბაზრო ეკონომიკის ბიზნესის სფეროში წარმოადგენს: სასაქონლო ხარისხი, სავაჭრო პარტიის ოდენობისა და მიწოდების პირობები, რაც განაპირობებს შესაბამისი საბირჟო კოტირებულ ფასის, რეალურ წარმოქმნას.
- ფასების განსაზღვრისას, დაფუძნებულს მარკეტინგის ანალიზის საფუძველზე, სავალდებულოა გათვალისწინებულ იქნას - ფასთა **პარალელობის, კონკურენციისა და კონვერგენციის** თანაფარდობა, მონაცემებზე არსებულ კორელაციურ ფაქტორების გათვალისწინებით

შედარებითობის მეთოდით განხილვისას, საბირჟო მოღვაწეობა ამიერკავკასის რეგიონში (სამ ქვეყანაში) იკვეთება, შემდეგნაირად:

ა) ***საქართველო*** - დღევანდელი მდგომარეობით, ნაკლებად მოიაზრება სერიოზული ინვესტორის გამოჩენა ქვეყანაში, რომელთა შემოსვლითაც შეიგრძნობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის - ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკის წარმმართველ საწარმოო სტრუქტურათა ამოქმედება და მათ მიერ წარმოებული, სოციალურ - სამომხმარებლო მოთხოვნათა შესაბამისი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქციის მიწოდება საზოგადოების სტრუქტურებისათვის, რომელიც ჩაანაცვლებდა - უცხოეთიდან იმპორტირებულ უცილობელსა და სავალდებულო საქონლის მოწოდებას, რითაც ორიენტირებულია და გაჯერებულია საქართველოს ბაზარი დღეისათვის, ყოველგვარი "საფასო პოლიტიკის პრინციპთა დარღვევითა და "მონოპოლისტურ პრინციპთა " ყოველმხრივი განვითარებით!

განსაკუთრებით საყურადღებოა პირველი მცდელობები საქართველოში, რომელიც მდგო-

მარეობდა შემდგომში - შექმნილიყო პირველი სასაქონლო და საფონდო ბირჟები : გურჯაანის ღვინის, ოზურგეთის ჩაის, თბილისის ბანკთაშორისო სავალუტო ბირჟები და აგრეთვე ჩამოყალიბდა პირველი უნივერსალური ბირჟა "კავკასიის ბირჟის" სახით.

შეიქმნა სახელმწიფო ორგანო "ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო ბიურო" -ს სახით, ჯერ ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურაში და შემდეგ კი - დამოუკიდებელ სტრუქტურად, რომელიც მოწოდებული იყო შეექმნა საკანონმდებლო ბაზა და მეთვალყურეობა გაეწია ბირჟების საქმიანობისათვის. (გასცემდა საბირჟო და საბროკერო ლიცენზიებს). ყოველივე ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება საქართველოში, თუმცა ბოლო ათწლეულში ყველა ბირჟა დაიხურა სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით და ამ ტიპის ვაჭრობა გადავიდა - სარეესტრო სამსახურში. დღეისათვის ეს სამსახური ახორციელებს ყველა ისეთ ოპერაციას, რომელიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების ყიდვა - გაყიდვასთან. მეცნიერთა აზრით ეს უკან გადადგმული ნაბიჯია - ფასიანი ქაღალდების სტულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებაში.

ბ) ***აზერბაიჯანი*** - აქ მეტად სჭარბობს, შიდა სახელმწიფოებრივი ინვესტიციები. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს შიდა სტრუქტურისათვის მეტად მისაღებია, ვინაიდან იგი უზრუნველჰყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას სამეწარმეო საფეროში.

მაგრამ იგი ვერ უზრუნველჰყოფს ქვეყნის - სამომავლო ახალ, თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისი პროდუქციის წარმოებას. ანუ იგი ვერ უზრუნველჰყოფს სრულად ქვეყნის - "ხვალინდელი დღის შესაბამის განვითარებას".

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანას - გარე და შიდა საბაზო ინფრასტრუქტურათა განვითარებისათვის, გააჩნია რა სარეზერვოდ პოტენციალური ბუნებრივი ნავთობ რესურსები, (რითაც იგი უზრუნველყოფილია - საწარმოო ინფრასტრუქტურათა განვითარებისათვის) - საინვესტიციო პროექტთა ყოველი მიმართულებისათვის.

ამ მიდგომის ეფექტურობა მეტად უნდა იყვეს გავრცობილი, სამწუხაროდ კი იგი, დღეისათვის - ნაკლებადაა დამოკიდებული, ქვეყნის პოტენციალურ რესურსებზე. აქაც იგივე მდგომარეობაა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში - რაც საქართველოში.

გ) ***სომხეთი*** - მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და არსებული პოლიტიკურ

პრობლემური ხასიათის ვითარების გამო, იგი ყოველმხრივ აქტიური ურთიერთობით ხასიათდება - რუსეთის ფედერაციასთან, რის შედეგადაც დღეს სომხეთში - რუსულ ინვესტიციათა ბუმია. პარალელურად, საკმაოდ კარგად ვითარდება - სომხური დიასპორის ეკონომიკური მიმართულებაც. მაგრამ მიუხედავად არსებულისა, დღეს ქვეყნის პოტენციალური ეკონომიკური ვითარება, მოითხოვს მკვეთრად გადასვლას "სამრეწველო ლიანდაგებზე" ნაცვლად არსებული "სასოფლო სამეურნეო განვითარებისა", ვინაიდან რუსული ინვესტიციების უმეტესი ნაწილი - გამიზნულია სოფლის მეურნეობისაკენ და მიმართულია მათ საბოლოო შედეგებზე, რაშიც ინვესტორი ქვეყანა - მეტად დაინტერესებულია. იგი ეფუძნება პოსტულატს - *"რაც არ გააჩნია ინვესტორ ქვეყანას იგი იღებს მას - ინვესტირებადი ქვეყნიდან"* . აქვე აღსანიშნავია რომ, - "უმნიშვნელოვანესი ცალმხრივი ეკონომიკური მიდგომა", ნაკლებად გეგმაზომიერი და პროგნოზირებადია, მით უმეტეს, რომ იგი არა პროგნოზირებადი - შორეული პერიოდისათვის. სასომხეთის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე იგივე ითქმება, რაც საქართველოსა და აზერბაიჯანზე.

ამერიკისა და ევროპის - ურთიერთობა და დაინტერესება, კავკასიის სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ არეალზე, შესაძლოა ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი მიმართულებებით:

* **ამერიკის შეერთებული შტატები** - მნიშვნელოვან ინტერესებს იჩენს - ირანთან ტერიტორიალური სიახლოვის გამო, ავდანეთში ტვირთების მიწოდების -ოპტიმალურობისადმო ტრანსპორტირებისას და კავკასიაში არსებული პოტენციალური ენერგო რესურსების, გამოკვეთილად და ნაკლებად საშიშ ტრანზიტულობის გამო.

* **ევროპა** - მნიშვნელოვანი ინტერესები გააჩნია - იმ სოციალურ-ეკონომიკურ სამომხმარებლო მოთხოვნილებით მოსარგებლე სასოფლო სამეურნეო საქონელზე, რომლის რეალური უზრუნველყოფისათვის - ევროპის ტექნოგენური ქვეყნები რეალური მიწის ნაკლებობას განიცდიან. ამასთანავე მკვეთრად განიცდიან რა - ენერგო რესურსების ნაკლებობასაც, მზად არიან - ორივე მონაწილე მხარისათვის, მისაღები ფორმით უზრუნველჰყონ აღნიშნული საკითხის ობიექტურად რეალურ-ოპტიმალური გადაწყვეტა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც ეფუძნება - საერთაშორისო კანონმდებლობის კრიტერიუმებს.

ორივე კონტინენტის ქვეყანა - მხარეები, მათ ქვეყნებში არსებული სოციალურ - ეკონო-

მიკური სამომხმარებლო მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად, ყოველ ღონეს ხმარობენ და ეწევიან საერთაშორისო კანონით ნებადართულ ქმედებებს, რათა არსებული ეკონომიკურად დასაბუთებული "ბიზნეს პოსტულატი" რეალურად გატარდეს ცხოვრებაში.

ზემოდჩამოთვლილ ქვეყანებში არსებული - ინფორმაციული საზოგადოებრივი აზრი, ქვეყნის განვითარებისა, განაპირობებს მათ ურთიერთობათა საფუძვლიან გავრცელებას - ინფორმაციულ ინფრასტრუქტურაში . იგი თავის მხრივ განაპირობებს სოციალურ - ინტელექტუალურ შრომითი ნაყოფიერების განშლას, ამავე ქვეყნების სოციალურ - სამომხმარებლო სფეროში, რაც ურთიერთკავშირშია ეკონომიკური მენეჯმენტის საგნობრივ და სასაქონლო გავრცელებასთან.

აღნიშნული სოციალურ - ეკონომიკური მიდგომა, განაპირობებს ისეთი საფუძვლიან მენეჯმენტ სტრუქტურათა არსებობას, რაც თავის მხრივ უზრუნველჰყოფს სტრუქტურულ ერთეულთათვის:

* საექსპორტო - საიმპორტო საქონლით, ქვეყნის ოპერატიულ უზრუნველყოფას
* რეალურად საჭირო ქმედით მოღვაწეობა - განვითარებას.
* ფორვარდულ, ოფციონურ და ფიუჩერსულ საბაზრო ურთიერთობათა რეალურ დამკვიდრებასა და მათ - სრულყოფილ განვითარებას
* საბირჟო მოღვაწეობის - შესაბამის ფინანსური უზრუნველყოფას
* საბირჟო მოღვაწეობის ეკონომიკურ ეფექტურობას
* მოღვაწეობისას წარმოქმნილი სავარაუდო რისკების - თავიდან აცილებას ან მათ მინიმიზაციას .

აშშ და ევროპა დიდად არ არის დაინტერესებული ბოლო ეტაპზე საბირჟო საქმიანობის განვითარებისათვის - ამიერკავკასიაში. ეს ეხება მეზობელ ქვეყნებსაც (გამონაკლისია, რუსეთის ფედერაცია სადაც არსებობს მეტ-ნაკლებად ცნობილი ბირჟები: "მოსკოვის საფონდო ბირჟა", " მოსკოვის საერთაშორისო სავალუტო ბირჟა", თუმცა ეს განპიროვევულია მის - მდიდარი სანედლეულო ბაზით).

ზემოდ აღნიშნულ სტრუქტურათა არსებობა ეფუძნება საბაზრო მარკეტინგის სიღრმისეულ მონიტორინგს. თავის მხრივ ასეთი მიდგომის საფუძვლად შესაძლოა ჩაითვალოს - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამა - "*სახელმწიფო კონტროლის სისტემის ქმედითუნარიანობის გაძლიერება*"

აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულის მოღვაწეობა არ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება არ მოიცავს მის ფინანსურ საქმიან ურთიერთობას - მონაწილე მხარეებს შორის.

სრულად ასეთ სტრუქტურულ ერთეულად - ამიერკავკასიის სინამდვილეში შესაძლოა მოგვევლინოს - **ამიერკავკასიის სასაქონლო - საფონდო (შერეული ან უნივერსალური) ბირჟა** /ბაზარი **სტრუქტურა!**

პერსპექტივაში არსებული პოტენციალური - ***ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟას*** თავის მრავალფეროვან მოღვაწეობის სფეროში სავალდებულოა გააჩნდეს - ფასიანი ქაღალდები, რაც თავის მხრივ მეტად საფუძვლიანად განაპირობებს - საბირჟო პოტენციალურ მოღვაწეობათა ისეთ ქმედებებს კლიენტთათვის, როგორიცაა:

- საბირჟო მოღვაწეობისადმი - ნდობით აღჭურვის უზრუნველყოფა
- კლიენტთა ოდენობის ზრდა
- საბირჟო გარიგებათა ოდენობის პოტენციალურ ზრდა-განვითარება
- გარიგებათა შესაბამის - საფინანსო უზრუნველყოფა
- საბირჟო მოღვაწეობის გრძელვადიან ეკონომიკური და ეფექტური მოღვაწეობა
- საბირჟო საქმიანობაში - სამივე ქვეყნის მოქალაქეთა, პერსპექტიულ დასაქმება
- სამივე ქვეყნის რეალურ სინამდვილეში - **ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟის -** სტრუქტურული ერთეულ / ფილიალების შექმნა, შესაბამისი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით.
- ამიერკავკასიის სფეროში არსებულ პოტენციალურ სასაქონლო რესურსთა სამრეწველო განვითარება და მათ ოპტიმალური რეალიზაცია
- საერთაშორისო ურთიერთობაზე გადასვლით, მიღებული ცივილიზებული ფორმების დაფუძნება.
- აშშ და ევროპის ქვეყნების ინვესტორთათვის, მეტად მყარი და სტაბილური საფუძვლის უზრუნველყოფა - მათთვის საჭირო სასაქონლო ურთიერთობათა სფეროში - ინვესტიციათა განსახორციელებლად.
- ადგილობრივებისა და ინვესტორ მხარეთათვის, ყოველგვარი შესაძლო რისკ ფაქტორთა თავიდან აცილების ქმედითობითი უზრუნველყოფა.
- ფასიანი ქაღალდი, ამიერკავკასიის საბირჟო მოღვაწეობის სფეროში, განაპირობებს - მეტად: დრეკად, ოპერატიულ და საიმედო ფორ-

მით ბირჟის მონაწილეთა ქმედებას :

- სასაქონლო პროდუქციის ღირებულებათა - მიმდინარე ცვლილებებს
- ამიერკავკასიაში არსებული ყველა სახის სასაქონლო პროდუქციის ოპტიმალურ და კოტირებულ ფასებს
- კონკურენტუნარიანი პროდუქციის არსებობას საბირჟო ვაჭრობის სინამდვილეში.
- პოტენციალური რისკების თავიდან აცილების, ქმედით ღონისძიებების უზრუნველყოფას - საბირჟო ვაჭრობისას
- მთელი რიგი არასაბირჟო მოღვაწეობის გარეშე საჭირო ქმედითი და სავალდებულო საქმიანიბისა და სამსახურების შექმნა - ამოქმედებას, ახალი და რეალური დასაქმებითი ადგილების შექმნით, ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში.
- ინვესტორთა მოზიდვისათვის - დამატებით კანონიერ ფინანსურ ინტერესთა გაჩენას
- ამიერკავკასიის სამივე ქვეყანაში - ინვესტორთათვის ნდობის ფაქტორის გაძლიერებასა და გაღრმავებას

საბირჟო მოღვაწეობის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს - აბსოლუტურ შესაძლებლობათა შექმნას საბირჟო ვაჭრობის მონაწილეთათვის, რათა - შემცირდეს / მინიმიზაციამდე იქნას დაყვანილი, აკონტროლოს წარმოქმნილი რისკები ანუ აწარმოოს - **ჰეჯირება**.

ჰეჯირების პროცედურა განაპირობებს საბაზრო ფასების მერყეობის სარისკო შემცირების პროცედურულ ქმედებებს, რომლებიც დაკავშრებულია საქონლის ყიდვა - გაყიდვის საქმიანობასთან.

ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟის არსებობის - სრულყოფილი ქმედებისათვის განპირობებულია რეგიონის სამივე ქვეყნის საბირჟო ვაჭრობის მონაწილე მხარეთათვის, (ვაჭრობის წესების არსებობისას) - სავაჭრო პრინციპთა სავალდებულო უზრუნველყოფითი გატარება - შემდეგი სახით:

- კლიენტთა შორის - კოოპერირებისა და საქმიან ურთიერთობათა გაღრმავება
- ბირჟის მონაწილეთათვის - მახ ინტერესთა გათვალისწინება
- ბირჟის მონაწილეთა მოღვაწეობისათვის - კომფორტაბელური პირობების შექმნა
- საბირჟო საქონლის ფასის კოტირებითი უზრუნველყოფა
- საბირჟო ვაჭრობის ჩატარება - დადგენილ დროში, საჯარო-გამჭვირვალედ და ერთი და იგივე ადგილზე (ყოველგვარი გადაცდომის გარეშე)
- საბირჟო საქონლის არსებობა და მისი ხარისხის გარანტირებულობა
- გარიგებათა უნიფიცირება - სისწრაფე, შესრულების - გარანტირებულობა
- კონკურენციის არსებობის პირობები.
- შუამავალთა ინსტიტუციის ამოქმედება
- სახელმწიფო სტრუქტურათა - ჩაურევლობა, საბირჟო მოღვაწეობაში.

ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟის - უმაღლეს ორგანოდ შესაძლოა ჩაითვლება ბირჟის წევრთა საერთო კრება, რომელიც შედგება, სამივე ქვეყნის წარმომადგენელ - ბირჟის წევრებისაგან. ბირჟის წევრებად კი ითვლებიან ის (იურიდიული ან ფიზიკური) პირები, რომლებიც საბირჟო წევრობის სტატუსისათვის მზად არიან გადაიხადონ, საერთაშორისო საბირჟო საწევრო სავალდებულო, გადასახადის მხოლოდ 10% (ანუ 50 – 70 აშშ $) და რომელიც დამოკიდებულია საბირჟო წევრის სტატუსზე:

"***ბირჟის სრული წევრის სტატუსი***, საწევრო გადასახადით - 70 აშშ §, ერთი ხმის უფლებით

" ***ბირჟის წევრის სტატუსი***, საწევრო გადასახადით - 60 აშშ §, ხმის უფლებით

" ***ასოცირებული წევრის სტატუსი,*** საწევრო გადასახადით - 50 აშშ §, ხმის უფლების გარეშე საბირჟო მოღვაწეობის უზრუნველსაყოფად იქმნება - სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს, ამიერკავკასიის რეგიონის ყოველი ქვეყნიდან წარმოდგენილ იქნას - მინ 3 კაცი და მახ 7 კაცისაგან, რათა მიღებული გადაწყვეტილებები - იყვეს ოპტიმალურად ობიექტური, რეალური და ქმედითი.

ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟის - უახლეს მოღვაწეობის ფორმას წარმოადგენს - *ელექტრონული ვაჭრობა*. რაც განაპირობებს საბირჟო მოღვაწეობის:

- ოპერატიულობას
- დროისა და ფინანსების - დანახარჯების მინიმიზაციას
- გარიგების - უცილებელ და გარანტირებულ შესრულებას
- კომერციული რისკების აცილების - საბირჟო გარანტიებს
- ფინანსური უზრუნველყოფის - ვალდებულებათა უცილებელ შესრულებას
- სოციალურ - სამომხმარებლო მოთხოვნილებათა, სეგმენტურ დაკმაყოფილებას

რუსმა მეცნიერებმა - ა. კოლგანოვმა და ა. ბუზგალინმა, სოციალურ - ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისათვი (აქ უმეტეს წილად დ.ს.თ ქვეყნები ანუ ექს საბჭოთა ქვეყნები იგულისხმება) შემოიღეს მცნება - "ტრანსფორმირებადი ეკონომიკური ქვეყნები", რომელთა დემოკრატიული მცნების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში.

№	ქვეყანა	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	შენიშვნა
1	საქართველო	3,97	4,29	4,33	4,58	4,83	4,83	4,96	4,86	4,68	4,79	4,93	4,93	
2	აზერბაიჯანი	5,05	5,58	5,63	5,54	5,46	5,63	5,86	5,93	6,0	6,0	6,25	6,39	
3	სომხეთი	4,39	4,79	4,80	4,83	4,92	5,0	5,18	5,14	5,21	5,21	5,39	5,39	
4	რუსეთი	4,56	4,58	4,88	5,0	4,96	5,25	5,61	5,75	5,86	5,96	6,11	6,14	
5	უკრაინა	4,63	4,71	4,92	4,71	4,88	4,5	4,21	4,25	4,25	4,30	4,39	4,43	
6	უზბეკეთი	6,38	6,42	6,46	6,46	6,46	6,46	6,43	6,82	6,82	6,86	6,89	6,93	
7	ყაზახეთი	6,75	6,83	6,83	6,88	6,93	6,96	6,96	6,93	6,96	6,93	6,93	6,96	
8	ბელორუსი	6,25	6,38	6,38	6,46	6,54	6,55	6,64	6,71	6,68	6,71	6,57	6,5	

დსთ ქვეყნებიდან დღეისათვის, არ ცერთი არ წარმოადგენს - არც მყარი დემოკრატიის ან თითქმის მყარი დემოკრატიის რეჟიმთა ქვეყნებს.

დსთ ქვეყნების მხოლოდ 8 სახელმწიფოთა ანალიზი (**აზერბაიჯანი,ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი და ბელორუსი) -** გვიჩვენებს, რომ ყველა მათგანი ჩამოყალიბებული ავტორიტეტული რეჟიმის ქვეყნებია.

მიუხედავად წარმოჩენილი ცხრილის მრავალფაქტორული ანალიზისა - როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს სავაჭრო ბირჟა/ ბაზარი, თუ ამ სფეროში სრული აქცენტი არ იქნა გაკეთებული, ბაზრის მთავარ სუბიექტზე - ადამიანზე? როგორ ამოქმედდება ბირჟა / ბაზარი, თავისი სრულყოფილი ფუნქციონალური მოღვაწეობით, თუ მასში არ იფუნქციონირებენ კონტრაგენტები, მომხმარებლისა და მიმწოდებლის ინსტიტუციათა სახით?

ადამიანის ფაქტორის შესწავლა ბირჟა / ბაზრის მოღვაწეობის პირობებში, მოითხოვს - სპეციალურ და სავალდებულო მუდმივ სახელმწიფოებრივ ინსტიტუციას, რაც განაპირობებს საბირჟო ვაჭრობის სრულყოფილ მოღვაწეობას. მისი ეკონომიკური მოღვაწეობა მიმართულია ვაჭრობის მონაწილე " ადამიანური ფაქტორის" მიერ სასიცოცხლო პირობების უზრუნველსაყოფად. იგი სოციალურ - ეკონომიკურ - ინოვაციური სრულყოფითი პროცესია, რომელიც მიმართულია ინდივიდუალურ - სახელმწიფოებრივი კეთილდღეობისაკენ, რაც ადამიანის დაპურებას, სახელმწიფოებრივი დოვლათის შექმნას უზრუნველჰყოფს და განაპირობებს.

ეს სტატია პირველი მცდელობაა - ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟის შექმნის საკითხში.

ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ ამ საკითხების სპეციალისტები გამოგვეხმაურებიან, როგორც საქართველდან ასევე სასომხეთიდა და აზერბეიჯანიდან.

ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებით მოვეკიდებით ინფორმაციას - სასომხეთიდან და აზერბეიჯანიდან.

ჩვენთვის საინტერესოა - თუ რა გამოხმაურება ექნება ამ იდეას აღნიშნულ ქვეყნებში

ჩვენ გვწამს, რომ ცალ- ცალკე ეს ქვეყნები, ვერ შეძლებენ სერიოზული საბირჟო სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას.

ჩვენის აზრით - იდეა ამიერკავკასიის უნივერსალური ბირჟის ჩამოყალიბებისა, წინაპირობა არსებობს მისი - რეალიზაციის საქმეში.

ОБцЗАТЕЛЬНОСТЬ БИРЖЕВОЙ СТРУКТУРЫ В РЕАЛИцХ КАВКАЗА

З. ВАШАКИДЗЕ, М. КЕЛЕНДЖЕРИДЗЕ
профессора ГТУ

Мировая тенденция развития человечества уже несколько веков опирается на развитие Биржевого Законодательного Сотрудничесева (Б.З.С.)

Без Б.З.С. в современном мире экономического развития - все формы, аспекты, тенденции и т.д. для любого социально – потребительского направления основанна на “ *Биржевую Азбуку*”.

Именно Кавказский регион (условно для начального этапа - три суеверные страны : Грузия, Армения и Азербайджан) является той базовой платформой Биржевого Законодательного Сотрудничесева, на котором потенциально будет строится все остальные “Биржевые Постулаты”, как :

* Фондовое направление
* Товарное направление
* Валютное направление
* Трудовое направление
* Универсальное направление

Развитие указанных “Биржевых Постулатов” самособой востребует реальное наличие таких важных и значимых тенденции как :

* Ценные бумаги (договора – контракты, Облигации, Опционы и Фючерсы, Вексель и т.д.)
* Електронная торговля
* Биржевой договор/контракт (в т.ч. Условными/Премиальными/ Реальными товарами/ Кредитными условиями/ “Своп”/ Фючерсный / Биржевой и т.д.)
* Создание новых и необходимых рабочих мест, как : Броккер/ Диллер/ Трейдер/ Биржевые сотрудники разных категории и классов и мн. др.

Закавказская Биржевая структура является весьма важным звеном в мировой биржевой структуре из за своего географического расположения а также потенциального его расширения.

После создания и начала функциональной деятельности Закавказской Биржевой структуры по мимо основной его направления начнётся его международная деятельность, котрая способна заниматся на “международной орбите” теми “проблемными вопросами”, решением которых Закавказская Биржевая структура не в силах была его решить самостоятельно